№ 149
შაბათი, 15 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 149
შაბათი, 15 ივლისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 16 ივლისს, დილით თერთმეტ საათზე დანიშნულია **კურთხევა** ახალის ბანკისა საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა, ბარიატინსკის ქუჩაზე, თავ. თუმანოვის სახლებში. (2—1)

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

—

*** ხვალ, 16 ივლისს, დანიშნულია კურთხევა ახალის ბანკისა, ხოლო ამ ბანკის საქმეთა წარმოება მეორე დღესვე, 17 ივლისს, დაიწყება.

*** ესრედ წოდებული არწრუნისეული ქარვასლა კიდევაც დაიმტკიცა თავად-აზნაურობამ. ყველა საბუთები ჩაჰბარდა გუბერნიის მარშალს თ. კ. ი. მუხრან-ბატონს. მამულს ჩაიბარებენ ამ ორს დღეში, მხოლოდ ის წესი, თუ როგორ უნდა ჰმართონ და განაგონ მამულის შემოსავალ-გასავლის საქმე, უნდა შეიმუშაოს კომისიამ, არჩეულმა მარშლისაგან. ეს კომისია ამ ზაფხულს შეიმუშავებს ყოველივე წესს და თავად-აზნაურობის სრულს გამგებლობაში მამული გადავა სექტემბრიდგან.

*** ამას წინად ნაამბობი გვქონდა რომ სოფ. დიღმის მინდვრებში მოულოდნელად კალია გაჩნდა და ამის მოსასპობლად ხალხი იყო გამოწვეული. კალია ამჟამად სრულებით მოუსპიათ ისე, რომ თითქმის არავითარი ზარალი არ მიუცია მცხოვრებლებისათვის, რადგან უფრო ბალახში მჯდარა და აქედამ გამოსვლა არც-კი დაუცდიათ, ისე მოუსპიათ.

*** 8 ამა ივლისს ქალაქის გამგეობამ მოიგუნება, გადასინჯა საბჭოს ყველა დადგენილებანი და წარმოიდგინეთ, აღმოჩნდა, რომ ოც-და ათამდე დადგენილი კი იყო, მაგრამ აღუსრულებელი, ზოგიერთი მათგანი 1891 წლისანიც-კია. ამისთვის ქალაქის გამგეობამ ეს საქმენი აღსასრულებლად და მათ შესახებ მოხსენების დასაწერად გაანაწილა ამ გვარად. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს დააკისრა ერთი საქმე; გამგეობის წევრს ე. ე. ხოსროევს—4, გამგეობის წევრს თ. პ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს—6, ქალაქის მდივანს ს. თ. ჭრელაშვილს—3, სასანიტარო საექიმო საბჭოს—1, ქალაქის ინჟინერს—2, ქალაქის ვექილს—2, ქალაქის ბეითალს—1, და ორიც გადასდო, საბჭოსა ვთხოვოთ კომისია ამოირჩიოს და იმას მიანდოს ამ საქმეების განხილვა და აღსრულებაო. ჩვენ აქ დაწვრილებით არ აღვნიშნავთ ამ საქმეებს, მაგრამ ბევრი მათგანი-კი ისეთია, რომ მათი დაუყოვნებლად ასრულება ყოვლად საჭირო იყო. მაგალითებრ, სააუქციონო დარბაზის, სასტატისტიკო ბიუროსი, მუშათა სავადმყოფოს დაარსების შესახებ იმის გამო, რომ ცუდყოფა-ქცევის ქალებზედ მეთვალყურეობა იყოს დადგენილი, განხილულ იქმნას წყლის მილზედ დახარჯულ ფულის ანგარიში და სხვანი. ზოგიერთი აქ დასახელებული საქმენი ქალაქის გამგეობას სამისა თუ ოთხის წლის წინად აქვს დავალებული და ეხლა განუზრახავს ამ დავალებულის აღსრულება. როგორც ეტყობა, ჩვენის ქალაქის გამგეობა სულიერი მოძღვარი რომ იყოს, ზიარებას ჩქარა მიასწრებს თავისს მრევლს.

*** როგორც შევიტყეთ, მომავალ სამოსწავლო წელიწადს ტფილისის საეპარქიო ქალების სასწავლებელში რვა თავისუფალი სტიპენდია იხსნება სასულიერო წოდების ობოლთათვის: ერთი ტფილისისა, სამი თელავისა, სამი გურია-სამეგრელოსი და ერთიც იმერეთისათვის. თხოვნა სტიპენდიანტად მიღებისა უნდა შეიტანოს მსურველმა ხსენებულ სასწავლებლის მმართველობაში 25 მარიამობისთვემდე და ამასთანავე უნდა წარადგინოს წლოვანებისა, ყვავილის აცრისა და სიღარიბის მოწმობანი.

*** ბორჯომის ადგილების მმართველობამ ოთხ აგვისტოსათვის დანიშნა ვაჭრობა იჯარით გასაცემ ადგილებისა, რომელიც შესაძლებელია დიდის ხნის ვადითაც აიღოს მოიჯარადრემ და რომლებზედაც სააგარაკო შენობები უნდა აშენდეს. ეს ადგილები ოცი ნაჭრისაგან შესდგება და თითოეული ნაჭერი მიწა 200 ოთხ-კუთხ საჟენზედ ნაკლები არ არის.

*** გორის მაზრიდგან გვატყობინებენ, რომ წელს მშვენიერი მოსავალია პურისა და ქერისაო. ამ თვის ხუთიდგან კიდეც შეუდგნენ ჭირნახულის თიბვას, მაგრამ შვიდ ამ თვიდგან წვიმის და ძალიან ხელს გვიშლის მუშაობაშიო.

*** ამაღლების ეკკლესიის კარებთან გუშინ დილით იპოვეს ახლად დაბადებული ყმაწვილი—ვაჟი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში მიაბარეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ბათუმი: ჩვენს ქალაქს ამ კვირა ნახევრის წინად ეწვია ქუთაისიდგან აქ ჩამოსული მალოროსთა დასი, რომელიც ბ-ნთ სუსლოვისა და სუხოდოლსკის მეთაურობით წარმოდგენებსა ჰმართავდა. დასი კვირა ნახევარი ჰმართავდა წარმოდგენებს, მაგრამ ვერ მოიგო ბათუმელების გული და თეატრის დარბაზი ნახევარზედ ცარიელი იყო. არტისტები ისევ ქუთაისს ემადლიერებოდნენ, სადაც ას თუმნამდე აეღოთ ოთხ წარმოდგენაში. დასი დღეს მიდის აქედგან თეოდოსიაში, სადაც ორიოდე კვირას დარჩება.

*** ახალ-სენაკი: როგორც მოგეხსენებათ, ახალ სენაკში არსებობს საქალებო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი სამ-განყოფილებისაგან შესდგება. წელს აქ სწავლა დაასრულა რვა მოსწავლე ქალმა. მოსწავლეთ ყოველს საგანში გაიმარჯვეს ეგზამენებზე. სწორედ დიდი მადლობის ღირსია მასწავლებელი ქალი ბაბილინა გრიგოლიას ასული, რომელიც თავისს თანამდებობას პირნათლად და უნაკლულოდ ასრულებს და არავითარს შრომას არ იშურებს. სამწუხაროდ სკოლა თავისს კურსით ერთობ პატარაა აქაურებისათვის, რასაც ყველანი ვგრძნობთ. ამიტომ სასურველია, ჩვენს სასწავლებელს კურსი მოემატოს და იმ განზრახვამ, რომელიც ამ სასწავლებელისათვის ითქვა (მისი ორ-კლასიანად გადაკეთებაზედ), ჩაილულის წყალი არ დალიოს. იმედია, ყველგან პატივცემული ამ სკოლის მზრუნველი კნეინა სალომე მხეიძისა, ჩიჩუას ასული, როგორც ყოველ საზოგადო კეთილის საქმის მზრუნველი და მონაწილე, აქაც თავისს გულ-უხვობას არ დაიშურებს და ეცდება იმის ორ-კლასიანად გადაკეთებას, რასაც მომავალი არ დაივიწყებს და მისი სახელი მარადის უკვდავად დარჩება...

*** სოფ. ბებნისი, (გორის მაზრა): წრეულს ჩვენსკენ ძალიან კარგი ჭირნახულებია. ჩვენს მინდორში, როგორც იტყვიან ხოლმე, სწორედ ღვთის თვალი ტრიალებს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს; მაგრამ,

## ფელეტონი

—

### ჯამრული.

ვის გლოვობს ფუნჩად ჯამრული,
რა თავი დაუღუნია?
ძმა ხომ მთელი ჰყავს იმედა,
შვიდს წელს ტყვედ დაკარგულია?
ან ძმისწულები—ფუცხვერა,
სამტროდ ნაქები ბუთლია?..
ანაც ძმობილი ჯიხვაი,
ბახტრიონს გადასულია?
იქნებ თათრებმა დაჩაგრეს,
დაამგობინეს რჯულია?..
ხმალი ხომ აქვის ისევა
ღარებზედ დაწარბულია?
ლეკისეული ხირიმი
ლამაზად გამართულია?..
ცხვარი ხომ არ უზარალდა,
შიგ დამწვარ-დადაგულია?..
ან სხვა ხო არა აჯავრებს,
სრულ ძმად მიაჩნავ დუ̃ია?
—რასაც შენ მკითხავ, ჯამრული
იმით ყველაით სრულია;
სხვა რამ აწუხებს ვაჟკაცსა,
სხვად აქვს დამწვარი გულია:
ერთს ბეზირგანსა დიაცსა,
იმის სახელიმც კრულია,
არ გაჰყოლია ცოლადა,
ვაჟკაცი დაუწუნია...
ამას თაკილობს ჯამრული
თავი მით დაუღუნია.

ვაჟა-ფშაველა.

### ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა ტფილისში.

უეჭველი მეისტორიეთა საგულისხმოდ მოგვყავს თანამედროვე მწერალთაგან მოთხრობილი ამბავი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისა ტფილისში.

1795*) წ. სექტემბრის 10-სა, შაბათს დღეს, დილით, მეფე ერეკლეს და ალა ძაჰმად ხანს შორის ომი დაიწყო. ალა-მაჰმად-ხანს ახლდა სამოცდა-ათი ათასი რჩეულნი მეომარნი.

მეფე ერეკლეს ახლდა ხუთი ათასი რჩეულნი მეომარნი: სამი ათასი რჩეულნი ქიზიყელნი, სამასი არაგველნი, რჩეულნი ვაჟკაცნი, ორი ათასი თუშ-ფშავ-ხევსურ-ერწო-თიანელნი ვაჟკაცნი, ორი ათასი რჩეულნი ვაჟკაცნი ქართლისა, სამი ათასი კვალად ქართლისავე საციციანოსი, საერისთავოსი, საამერიჯიბო, საამილახვროსი და სათარხნოსი.

ათასამდე მხედარნი ბოლნის ხეობისა, ალგეთის მანგლის ხეობისა და მარაბდელნი, ასამდე ტფილისის მცხოვრებნი, ამათ წინამძღოლობდა ტფილისელი ალალაშვილი.

კვალად იყვნენ რჩეულნი ხუთასამდე თავად-აზნაურნი, სურამიდგან იყვნენ მოსულნი ორი ათასი რჩეულნი მხედარნი, ორი ათასი იმერეთიდგან იყვნენ მოსულნი მხედარნი.

კვალად მეფეს ჰყვნეს ხუთი ათასი რჩეულნი მეომარნი მხედარნი ცხენოსანი.

ალა-მაჰმად ხანს ახლდა კვალად ცხენოსანი რჩეულნი მხედარნი ოც-და ათი ათასი. სულ ოთხმოც-და-ათი ათასი.

ქართველს ჯარს წინამძღოლობდნენ თვითონ მეფე ერეკლე, ვახტანგ ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი და ძმა იმისი იონე ბატონიშვილი.

იმერეთის ჯარს წინამძღოლობდა თვით მეფე და ზურაბ წერეთელი.

ალა მაჰმად-ხანის ბანაკი იყო სოღანლუღს, რომელიც ჰშორავს ტფილისით ერთის ეჯით, ანუ ერთისა ფარსანგითა, რომელი არს შვიდი ვერსი. ბანაკს გარშემო თხრილები აქვნდა, რომ მეფის მხედრობისაგან უეცარი თავ-დასხმა არ შემთხვევოდა.

მეფე ერეკლემ ადრევე სცნა საქმის ვითარება და ამიტომ მთელს ტფილისის მცხოვრებთ აუწყა სოფლად გასვლა, მცხოვრებთ იმინეს რჩევა მეფისა, დაკეტეს სახლ-კარნი და წავიდნენ დუშეთს, ანანურს, ყიზლარს და მთიულეთს. ქალაქში დარჩნენ ოდენ-ღა მცველნი სახლებისა, თითო კაცი თითო უბანსა და თითო დიდს სასახლესა, ქარვასლებსა და ეკკლესიებსა.

ქალაქი მთლად დაიცალა.

ტფილისში დარჩა რამდენიმე სამღვდელო პირნი და მათ შორის დოსითეოს ნეკრესელი, მიტროპოლიტი, კაცი დიდად მოყვარე ქვეყნისა, თავდადებული.

დღესა შაბათს, 10 სექტემბერს, ბრძოლა უყო მეფე ერეკლემ და დავით ბატონიშვილმან მაჰმად ხანის ჯარს, კრწანისის ველზედ, აქვე დაესწრა სოლომონ იმერთა მეფის სარდალი ზურაბ წერეთელი.

მარჯვენა მხარეს იდგა ქართველთა სარდალი ოთარ ამილახვარი. იონე მუხრანის ბატონი, მეფის გამოჩენილნი გმირნი, გაბრიელ მაიორი და სხ. მრავალნი.

მარცხენა მხარეს იდგა სარდლად: ქიზიყის მოურავი, სარდალი ზაქარია ანდრონიკაშვილი და მრავალნი გმირნი ქართველთა, გამოჩენილნი სამხედრო ცოდნითა და სწავლით.

ამ დღის ომში ფრიად მხნედ იბრძოლეს ქართველთა, სპარსნი აოტნეს, ქართველნი მოსწყდნენ ათასამდე და სპარსნი ექვსი ათასამდე.

შემდეგი ომი დაიწყო სამშაბათს, 13 სექტემბერს:

ამ ომში კვალად განვიდა მეფე ერეკლე, თან ყვნენ ბატონიშვილები და სარდლები. ლაშქარი დაადგინა ხუთ ნაწილად. მარჯვენა მხარეს დაადგინა დავით ბატონიშვილი სეიდაბათის ბაღთან, სადაც შეერთდებიან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისა. მეფე ერეკლეს და დავით ბატონიშვილს აქვნდა ექვსი საშუალი და წვრილნი ცეცხლ-სასროლენი (ე. ი. ზარბაზანნი).

მეწინავედ განაწესა მხედრობანი რჩეულნი, „რომელთაცა მძღვნადა ჰყო: შვილი შვილი მეფის ძე იონე, მარცხენა მხარეს დააყენა იანე მუხრანის ბატონი: კვალად ქმნა ორნი სხვანი გუნდნი: და დაადგინა მხედართ მძღვნად ერთისა ძე თვისი ვახტანგ, ეს იყო ოთარ ამილახვარის ხელმძღვანელობის ქვეშ, სადაც საჭირო იქმნებოდა ლაშქარი ბრძოლის დროს, ამას უნდა მიეშველებინა. ამათაც აქვნდათ იმდენივე ზარბაზანი მარჯვნივ და მარცხნივ კერძოდ მეფისა იყვნენ მხედრობანი ქვეითს გარდა ცხენოსანნიცა, კანონიერათ თავ-

*) ეს ცნობები მომყავს მეფის ირაკლის მდივნის ომანის ნაწერებიდამ, მეფის მოძღვრის ეგნატე იოსელიანის, მეფის მსაჯულის და კანცლერის სოლომონ ლეონიძისა და მეფის მდივნის თუმანიშვილისა და სხვებისა, რომელნიც მომსწრენი იყვნენ ამ ომისა.

ავტ.

ვგონებ, ჩვენზედ მეტად აქაურს ჩარჩებს და ჩვენს მოვალე ურიებს უფრო უხარიანთ: უკანასკნელთ მისთვის, რომ გაინაღდებენ თავიანთის გასესხებულის ფულის ძველად დარჩენილის ორ ზომა სარგებელს; ხოლო პირველთ მისთვის, რომ ნახევარ ფასად გაზიდვენ ჩვენს წლის მოსავალს. ასე ამ გვარად წრევანდელის მოსავლისა სახელი ჩვენია და სახრავი-კი ჩარჩებ-მოვალეებისა. ჩვენდა სავალალოდ ფოსტის ფულიც ეხლა გაიწერა ჩვენში და იკრიბება კიდეც. საიდგან და როგორ ვიშოვოთ ფული სახელმწიფო გადასახად სთქის? თუ წინ-და-წინ ნახევარ ფასად არ დაუკვეთეთ პური ფულის გამსესხებელთ, ვინ შევა ჩვენს უკიდურესს მდგომარეობაში, ვის შესტკივა ჩვენთვის გული?!.

## სიტყვა,

თქმული 8 ივლისს შიო მღვიმის მონასტერში ალექსანდრე ეპისკოპოსის ბერობაში ორმოც-და-ათი წლის შესრულების დღეს.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო და მამაო!

ვინც გონივრულად დაჰკვირვებია როდისმე თავისს სულის მოძრაობას და ყურადღება უთხოვებია მისთვის, იმას, ეჭვი არ არის, გამოცდილებით ეცოდინება ის სულიერი მდგომარეობა ადამიანისა როდესაც უკანასკნელს,—ადამიანს,—დიდი სურვილი, გულითადი წადილი ჰქონია უკლებელი სისრულით განუზიაროს მეორე პირს, თავისის გულის გრძნობანი სავსეჲით, უმეტ-ნაკლებოდ, გამოსთქვას და ცხოველათ დაასურათოს იგინი, მაგრამ, წინააღმდეგ გულითადი წადილისა, ნახევარზედაც ვერ მოუხერხებია ესე, რადგანაც სიტყვა უკან რჩება გრძნობასა, სიტყვას დაუკარგავს თვისი ჩვეულებრივი სიმძლავრე, გამხდარა იგი სუსტი და უფერული. აი სწორედ ამ გვარ სულიერ მდგომარეობაში ვიმყოფები მეც, დაუფასებელო მწყემსთ-მთავარო და სათნოებით მოსილო ბერო, დღეს, გადავდივარ-რა გონებით ორმოც-და-ათის წლის უკან და ვიგონებ შენის ბერობის პირველ დღეს, შენს ანგელოსებრივის მფრთოვანებით შემოსავს. ამის გამო მომიტევე, მეუფეო, მამობრივი სიყვარულით, რომ ჩემი სიტყვიერი ტაბლა დღეს მცირე და მწირია, თუმცა-კი უფრო შესაფერი იქნებოდა, რომ იგი ყოფილიყო განსაკუთრებით სრული და უხვი. სამაგიეროდ მიიღე მცირედი ესე სიტყვა, როგორც ნაკვთი სულისა, რომელიც მოცულია უზომო სიყვარულით ბერობისადმი, მიიღე სუსტი ესე სიტყვა, როგორც ნაყოფი გულისა, რომელსაც შვილობრივი სიწრფელით და სავსებით ჰსურს შენთვის სიკეთე და ნეტარება იმ ზომით, რა ზომითაც-კი შესაძლებელია ეს ადამიანისათვის ამა და იმ სოფლად.

აწ მხცოვანი და სრული ჭაღარა მოსილი, ორმოც-და-ათის წლის წინად, როდესაც იმოსებოდი ძაძით და იბურავდი თავს შავის ბარტყულით, შენ იყავ ჯერ ისევ ნორჩი, მოზარდი, სავსე ჯანით და სიცოცხლით, ახალგაზდა, პატრონი გრძნობიერის, სულ-ჭაბუკი გულისა.

რა მიზეზი იყო შენის მხრით ასე ადრე კავშირის გაწყვეტისა ტკბილ, სასიამოვნო და მიმზიდველ სოფლის ცხოვრებასთან? იქნება ახალგაზდა გული დაგიწყლულა რომელიმე მძიმე, ძნელად ასატანმა შემთხვევამ და ამის გამო ზურგი აქციე ამაო და გაუტანელ სოფელს? არა; ამგვარ შემთხვევას არასოდეს ალაგი არ ჰქონია შენს ცხოვრებაში. მაშ იქნება შენ დაემორჩილე შენი დროს ჩვეულებრივ მიმართულებას, ე. ი. წახველ მონასტერში იმისთვის, რომ სხვებიც მრავალნი მიდიოდნენ იქ? არა; შენი დროს ახალგაზდობა სრულებითაც არ იყო გატაცებული ბერობის სიყვარულით; ერთი მაგალითიც არ გინახავს, რომ შენზე წინ ან შენთან ერთად მოსწავლეთაგანს მიეღოს ვისმეს ბერობა. მიზეზი სიყრმიდგან შენი ბერობისა იყო ერთის მხრით ის მხურვალე და წარუხოცველი სიყვარული ქრისტესი და ქრისტიანული ცხოვრებისა, რომელიც სულ ადრე დაგინერგეს გულში სათნოებით აღვსილმა მშობლებმა, მეორე მხრით კიდევ ის გონივრული და სასიქადულო სიყვარული სამშობლო ერისადმი, რომელმაც სულ ადრე გაიმართა შენს გულში ფართო და მკვიდრი ტახტი. ბავშვობიდგან შენს გულში ანთებულს ქრისტეს სიყვარულის ლამპარს ბეჯითად და განუწყვეტლივ უმატებდი სათნოების ზეთს და ამგვარად აძლიერებდი სიყვარულის ალს, რომელმაც სრულებით მოგიცვა შენ და მიგიყვანა იესო ტკბილის მყუდრო ნავთსადგურს.

ამ საღმრთო, უმაღლესის სიყვარულის გვერდით ჰღვივდებოდა, იზრდებოდა და მძლავრდებოდა შენს გულში სამშობლო ერის მხურვალე ტრფიალებაც. შობილი იმგვარ ოჯახში, რომელსაც მუდამ მტკიცე და მჭიდრო კავშირი ჰქონია და აქვს ხალხთან, შეზრდილი მდაბალი ხალხის შვილებთან, ბავშვობაშივე შეიგნე ჩვენის ხალხის ხასიათი, სულიერი მიდრეკილება, იმისი საწადელი და მისწრაფება. ბავშვობაში ყველა გაქებდა და ყველას მოსწონდი, რადგანაც გიყვარდა ეკკლესია. ქვე ამ შენ დაასკვენ, რომ ჩვენი ხალხი ღრმად მორწმუნე ხალხია და მისს გულს მოიგებს მხოლოდ ამ გვარადვე მორწმუნე ადამიანი. ბავშვობაში შეამჩნიე, რომ ყოველ მოსწავლე ახალგაზდას ხალხი უწოდებდა დიაკვანს. აქედამ შენ დაასკვენ, რომ ჩვენი მორწმუნე ერის შეხედულებით ნასწავლი და კეთილად აღზრდილი კაცი უნდა იყოს ეკკლესიის მსახური. ბავშვობაში შენ არჩევდი, რომ მდაბალი ხალხი, ყოველთვის მოუცლელი და მუდამ ყელამდის სავსე ათას გვარი საქმეებით, ივიწყებდა ყოველგვარ გაჭირვებას, გატაცებით, თავდავიწყებით, სრული გულმოდგინეობით და სიხარულით ისმენდა მოთხრობაებს წმიდანებისა, მონასტრებისა და სახელოვან ბერებს შესახებ. აქედამ შენ დაასკვენ, რომ ვისაც ჰსურს მოიპოვოს ამ უბრყვილო ხალხის თანაგრძნობა და გამოიყენოს ეს თანაგრძნობა ხალხისავე საკეთილდღეოთ, უეჭველად უნდა მიიღოს ბერობა და აი, სხვათა შორის, ყოველივე ესე შეიქმნა შენს ცხოვრებაში იმ მძლავრ და გადაწყვეტილებითად ძალათ, რომელმაც ზურგი შეგაქცევინა სოფლიური ცხოვრების სიტკბოებას, რომელმაც სამუდამოდ გაგაცვლევინა ძაძაბარტყულზე სოფლის შვება-სიამე.

ღვთისა და ხალხისაგან ნაჩვენები გზისთვის ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გიღალატნია შენ, არც ერთხელ არ შეგილახავს იგი, არც ერთხელ არ გადაგიხვევია მისგან. ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში შენ მუდამ მაღლა გჭერია ალაგი სათნოებიანი ბერობისა და საუკუნის ნახევარში შენ მიერ განვლილი გზა წარმოადგენს ასპარეზს, განშვენებულს და მობრწყინვალეს ათას გვარი საღმრთო და საერო ქველმოქმედებით.

რა იყო ეს მონასტერი ამ ათიოდე წლის წინად, უწყის ყველამ, რა გაკეთდა, ან რა კეთდება დღესაც აქ მარტო შენის პირადის მეცადინობით, ყველასთვის ცხადი და თვალსაჩინოა. შენი მოქმედება ამ „სავანეში არის“ სასანთლესა ზედა აღნთებული სანთელი, რომელიც ჰნათობს ყოველი ქართველისთვის. განაგრძე კვლავ სახელოვანი შენი მოღვაწეობა და დარწმუნდი, რომ მიაღწევ შენის მაღალის შრომის სასურველ ბოლოსაც—გამრავლებას განათლებულ, გულ წრფელ და ზნეობრივ კეთილ-შობილ ბერთა გუნდისას. „უფალმა სამკლისამან“ ყურად იღო ვედრება შენი, მოხედა შრომასა შენსა და, აჰა, გისრულებს კიდეც გულითადს წადილს—„ავლენს მოქმედთა სამკალსა თვისსა.“ განავრცე შენი სათნოიანი შრომა და დარწმუნებული იყავ, ეს ახალნი მუშაკნი, ულრმესის მოხუცებულების დროს, ამოგიდგებიან შენ მხრებში და შეექმნებიან სანდო კვერთხათ, გაგიწევენ ჭეშმარიტს სულიერს შვილობას, გაუტეხელათ აგისრულებენ იმ საღმრთო თხოვნას, რომლითაც მიგიმართნია ეხლა ყოველი ქართველისათვის და შესთხოვ: ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი, (იაკობ. 3,13.) ამინ!

არხიმანდრიტი ლეონიდე.

## კორესპონდენცია.

**ს. ისულა,** (სენაკის მაზრა): ეს ერთი თვეა, რაც აქ ყვავილი გაჩნდა. სამწუხაროდ, ამ სენმა ორი თუ სამი ადამიანი უკვე გაისტუმრა საიქიოსაკენ. ამის გამო მთელი სოფლის დიდი თუ პატარა დიდს ფიქრსა და საგონებელში არიან ჩავარდნილნი. ზოგიერთები ისე დააფრთხო ამ სენმა, რომ იძულებულნი არიან როგორმე თავს უშველონ და გადაიხიზნონ. დღესაც ხუთამდე საშიშრად არის ავად.

არც სხვა მხრით შეიქმნა წელს ეს სოფელი ბუნებისაგან დაჯილდოებული. ივნისის 10—11 ღამეს ტეხური ისე ადიდდა, რომ კალაპოტში ვერ დაეტია, გადავიდა ხაპიოებიდგან და დიდი ზარალი მისცა სოფელს, ზოგან ისე წალეკა ამოსული ჯეჯილი, რომ კაცი სასოწარკვეთილებას ეძლევა, როდესაც ასეთს სურათს წარმოიდგენს. ზოგან-კი ხაპიოებიდამ მიწა (ერთი დღიური) ჩამოჰგვა და სულ ჯეჯილიანად მაკი ზღვისაკენ წაიღო. აგრეთვე დიდად აზარალა სოფ. ხატოჩაო (სენაკის მაზრაში). აქ რამდენიმე დესეტინა მიწა ხაპიოებიდგან ჩამოარღვია, რომელიც მთელი სოფლის საქონლის საბალახე ადგილი იყო.

ესეც არაფერი თუ მთელს სო-

---

თავიანთ ხელმძღვანელთა ქვეშ ყოფილნი.

მეფე ერეკლე ხევის მარჯვენა პირას იდგა და ხევის მარცხენა პირას, საიდგანაც მისწვდებოდა მტერს ტყვია ზარბაზანი, დაადგინა არტილერია და გმირები. ამ ომში სპარსთაგან ბრძოდნენ მხოლოდ თოთხმეტნი ათასნი და ქართველნი ათი ათასი.

სპარსთ აქვნდათ საკმარისნი ზარბაზანნი და ზამბურაკნი, ამათვე ახლდათ ექვსი ათასი თურქთა მეომარნი, რომელნიც სპარსთა ჯარს უკან უდგნენ, ესენი დარაჯობდნენ სპარსთ მხედრებს, რომ ომის დროს უკან არ დაეხიათ, თორემ მოკლავდნენ. ყეინის ბრძანება ასეთი იყო. ამათ თანვე იდგა თვით მაჰმად-ხანი.

ბრძოლა გაგრძელდა დილას შუადღემდე მეშვიდესა ჟამსა და ბრძოდნენ ცხარეთ. ქართველნი შემცირდნენ, მეფემ მიაშველა ვახტანგ ბატონიშვილი მხედრობით.

აქ გაჩნდნენ სამასნი არაგველნი, ამათ შორიდამ შესძახეს მეფეს ფიცი; მეფემ გადახედა და ხელები ღმერთს შეაპყრა.

ამ დროს ქართველთაგან რჩეულ იქმნენ ქართველთ გმირები და ქიზიყელნი მეომარნი, არაგველნი, ფშაველნი, ხევსურნი და ამათ იწყეს პირის-პირ ბრძოლა; „სპარსთა ლაშქარი მისდრიკეს.“

კვალად აღირჩიეს ქართლელთა და ტფილისელთა გამოჩენილნი მეომარნი, მეომრებმა თვის წინამძღვრად აღირჩიეს კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზანდარს უხმობენ. ესე იყო ერთი წარჩინებული ძე, საკრავთაგან და მსახიობთაგან მეფესათა, „მუზიკა და კომენდანტი, ეს ცნობილ იყო სამეფო სახლშიაც, როგორც უფროსი მსახიობი. ესე იყო გვარეულობით და სარწმუნოებითაც ქართველი, რომელსაც სახელს სდებდნენ მაჩაბლად. ესე მიუძღვა გუნდსა ტფილისელთა მტერთა ზედა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შაიდანსა ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკვრენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდგან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა“.

ქართველთა ჯარი ორ დასად გაიყო, ერთი დასი იერიშით მივიდა მტერზედ, აქ იყო მეფე ერეკლეც. ქართველნი იბრძოდნენ ქვეითად და ცხენოსნად, მასთან მკვირცხლად. „ქართველნი დროშებამდის მიიწივნეს“, მოსტაცეს დროშები. დიდძალი რიცხვი გასწყვიტეს სპარსთა. მეფე თვით იბრძოდა.

ალა-მაჰმად-ხან დიდად გაჰკვირდა და შეშინდა, ამასთან მივიდნენ ტფილისელი არზუმანაშვილი, ფანოზაშვილი და ვილაც ყარაბაღელი სომეხი კუზიანი დარჩიას და ყორღანაშვილის მცნობი და ყეინს მოახსენეს ერეკლე მეფის ჯარის ცოტაობა.

ყეინმა სთქვა:

„სიყრმითგან ჩემით ვიდრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არსად მიხილავს წინააღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემდა მიმართ ჰყოფენ ბრძოლას“. ამის შემდეგ მან მოუწოდა 40 ათას დასვენებულ ქვეითა ჯარს მაზანდარელთა და ქურთებთა, რომელნი შორით იდგნენ და ჟამს უცდიდნენ. ესენი ფარვით იდგნენ ქართველთა თანა. სპარსნი შეერთდნენ ერთად და მოსვენებულნი სპარს-ქურთნი ეკვთნენ დამაშვრალთ ქართველთა. ქართველთ იწყეს სისხლით წვეთამდე ბრძოლა, ამ წუთაში გაწყდნენ მთლად მეფის გლეხთა გმირები: პაატა, გელა და გიორგი.

მთლად გაწყდნენ 300 არაგველნიც.

ქართველნი ბრძოდნენ რაც ძალედვათ, „რაოდენ და ვიდრემდის ბუნება კაცისა თავს იდებდა და ძალ ედვა ბრძოლად. და რა ჟამს არღა ძალ იდებოდეს უმეტეს მისა შრომა; მაშინ გასწირნეს თავნი თვისნი და შესწირეს მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისსა, და წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად დასთხივნეს სისხლი თვისი.

მეფე ერეკლემ იხილა სიძნელე ბრძოლისა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამაგრებდა მხედრობას. საღამო გადიწურა, მეფეს არ ნებდა ომის შეჩერება, მაგრამ სარდალთ აღარ მისცეს ნება, საქმე წახდებაო, წახდენა შეჩერებით ავიცდინოთო. ომი შეაჩერეს. ომის შემდეგ მეფეს მოახსენეს მის ერთგულთა და მახლობელთა შემდეგი.

„უწყის ყოველმან სკიპტრისა თქვენისა ქვეშე მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ არა ჰრიდებთ თავსა თქვენსა სიკვდილათ ერისათვის შენისა და მსხვერპლ ექმნა მამულსა საყვარელსა, მაგრამ თუ სადმე გეწიოს შენ ძვირი ანუ ბოროტი რამე, უმეტეს განლაღნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა“. თუმც მეფეს ავედრებდნენ ომიდგან განსვლას, თავისს გადარჩენას, თორემ შენ რომ მოგკლან უფრო აირევა საქმეო, „გარნა მეფე კვალად იმყოფებოდა მუნვე“.

გათენდა მეორე დღე და დაიწყეს ბრძოლა. დიდის სიმხნით იომა თვით მეფემ, ამის გვერდს იყვნენ სამი ათასი ცხენოსანი ქართველნი და სასტიკათ ებრძოდნენ, დღე მიიწურა, ვახტანგ ბატონიშვილმა, ლიონქე და დავითმა მტერი განფანტეს, მეფე დასქრეს. მეფის ძენი და სარდალნი გასვრულ იქმნენ სისხლსა შინა“. მაშინ მოუახლოვდნენ სპარსნი, „სადა იგი იყოფოდა მეფე და მოუხდეს აღმატებულითა ძლიერებითა და კვალად მოჰკვლიდეს, ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შვილის-შვილი ამა მეფისა, მეფის ძე იონე არა იყომცა მუნ, რომელიცა ყოვლითურთ აღმატებულითა და საკვირველებითა გულოვნებითა და სიახლითა, რაოდენითა მე მახლობლითა მით, რომელნიცა იყვნეს მას ჟამსა შინა მეფისა თანა შებრძოლნი, ეკვეთა მეფის ძე იონე მახლობლად პაპისა მისისა მოსრულთა სპარსთა და უკუ აქცივნა და განარინნა ხელთაგან მათთა მეფე.

ალა-მაჰმად-ხანმან ნახა მეფის გადარჩენა და ჯარი მიუსია, ამ დროს ტფილისის ციხიდგან მკვირცხლად იწყეს ზარბაზნის სროლა. უმეტეს ალალუაშვილმან. ქართველთ რჩეული მეომრები გაწყდნენ თითქმის. საღამომ მოატანა და ომი შეჩერდა. ქართველთა ერთგულთ მეფეს ურჩიეს თავის გადარჩენა, თორემ ალა-მაჰმად-ხანს უმეტეს თქვენი მოკვლა ჰსურს და მაშინ უფრო ცუდი იქნება ჩვენი საქმეო.

მოხუცი მეფე თუმც შესწუხდა ამაზედ, მაგრამ მაინც განეშორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელს ნაცარ-ტუტი არ აადინა (ნატოჩაოში) შეუბრალებელმა მდინარემ. ამ მდინარემ პირი შუა სოფლისაკენ გაიკეთა და ადვილი შესაძლებელია სოფლისაკენ ქნას პირი. აი მაშინ იქნება ღვთის რისხვა! ეს რომ ასე იქნება, ამას ეჭვი არ უნდა. მხოლოდ საჭიროა ეხლავე როგორმე მდინარე აიცდინონ, თორემ მერმე გვიან-ღა იქნება...

ტ. კა—ლი.

11 ივლისს, 1895 წელს.

## ქართული კონცერტი კავკავში.

კავკაველებსაც ვეღირსა ქართული კონცერტი: შაბათს, რვა ივლისს, ბ-ნმა რატილმა გამართა ქართული კონცერტი, რომელსაც კარგა ბლომად დაესწრო ხალხი. სასიმღეროდ დანიშნული იყო 18 სხვა-და-სხვა ქართული სიმღერა ქართულ-ევროპიული კილოსი, რომლებიც ჩინებულად შეასრულა ბ-ნმა რატილმა თავისს ხოროთი. საზოგადოება აღტაცებით ისმენდა და ხანგრძლივის ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილით აჯილდოვებდა მომღერალთ. ზოგიერთი სიმღერები, რომლებიც უფრო მოსწონდა საზოგადოებას, რამდენ ჯერმე იქმნა განმეორებული საზოგადოების თხოვნით. გარეშე პროგრამისა, ოთხი სიმღერა კიდევ ამღერეს: „თამარის დროშა გაშალეს“, გურული „ნანინა,“ „შაშვი კაკაბი შეიბნენ“ და „ცანგალა გოგონა“ ცეკვით, რამაც ძალიან აიამოვნა დამსწრე საზოგადოება. საზოგადოდ, ყველაზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კონცერტმა.

აქ არას ვიტყვი სიმღერებისა და მომღერალთა ღირსება—ნაკლულევანებაზედ, რადგანაც არა ერთხელ თქმულა და დაწერილა; ვიტყვი მხოლოდ, რომ საზოგადოებას მოსწონდა უფრო ის სიმღერები, რომლებშიაც ნათლად გამოსჭვრეტს ქართული ნაციონალური კილო. სწორედ დიდის მადლობის ღირსია პატივცემული ბ-ნი რატილი, რომ ასე დაუღალავად შრომობს ქართული სიმღერებისთვის. იმედია, შემდეგისთვის უფრო ყურადღებით მოჰკიდებს ხელს და წინ წასწევს ქართულის გალობის საქმეს.

ბ-ნი რატილი თავისს ხოროთი აქედგან წავიდა პიატიგორსკში, სადაც უნდა გამართოს რამდენიმე ქართული კონცერტი. კონცერტებს გამართავს აგრეთვე კისლავოდსკში, ესსენთუკში და ჟელეზნავოდსკში.

ბ. და—ლი.

## შესანიშნავი ნაშთი.

აქამდის ჩვენ გვქონდა ქართული ანბანით გაწყობილი სპარსული სახარება, ოსური საეკკლესიო წიგნები, ხოლო დღეს-კი აღმოჩნდა კიდევ ახალი იტალიურ-თათრულ ენების ლექსიკონი, შედგენილი ქართულის ანბანის შემწეობით. რას მოასწავებს ეს გარემოება, თუ არა იმას, რომ საქართველოს კულტურის მესვეურობას „გზა ფართო“ გადაშლილი ჰქონია კავკასიაში ჩვენის მამა-პაპების დროს! ამავე წესვეურობის შესახებ ხმა მაღლა ლაღადებს იგივე ჩვენი ანბანი, რომლითაც ქართულს ენაზედ გამოჭრილია წარწერები ძველს ძეგლებზედ: საჩეჩნოს, კაკ—ელისენს (საინგილო), სომხით, ოლთისსა და ყაღიზმანს, ანსა და ვანს, ყარსსა და არზრუმს, ლაზისტანს, აფხაზეთს, ოსეთს და სხ. სახელები ამ ჩამოთვლილ ადგილებისა და ქვეყნებისა ცხადად ჰმოწმობენ, თუ როგორ უმეშავნია და სადამდის გასწვდენია ჩვენი მხნე მამა-პაპების კულტურა, მათ მიერ დამუშავებული გონებითი და სულიერი საზრდო ცივილიზაციისა.

რაც შეეხება იმ ნიშთს, რომელსაც „შესანიშნავი“ ვუწოდეთ, იგი ჩვენ გადმოგვცა „ივერიის“ რედაქციამ განსახილველად.

იტალიურ-თათრული ლექსიკონი შედგენილი ქართულის მხედრულ ასოებით, შეიცავს 410 გვერდს, in 8, და ყოველს გვერდზედ, საშუალო რიცხვით, დაწერილია 27 სიტყვა, მაშასადამე მთელს ლექსიკონში უნდა იყოს 11,178 ახალი იტალიური სიტყვა და ამდენივე მათი თარგმანი თათრულს ენაზედ. ეს თათრული სიტყვები ეკუთვნის იმ ენას, რომელზედაც დღეს ლაპარაკობენ ადერბეჯანის (ნუხი-განჯა-ბაქო-შუშა-ერევანი) თათრები. მთელს ლექსიკონში უნდა ყოფილიყო უფრო მეტი სიტყვა, რადგან ბოლო ამოხეული აქვს.

თუ რა დროს შედგენილია ეს ლექსიკონი, არა სჩანს, რადგან სათაო მისო წარწერები წიგნს არა აქვს. ხოლო ამ გარემოებას რაოდენადმე ნათელს ჰფენს ორი შენიშვნა, რომელთაგან ერთი გვიჩვენებს მისს სიძველეს.

წიგნის თავში სწერია მხედრულად: „წელსა უი-ს 1722: მარტის 25: დავიხსენ ეს წიგნი მე მურდიანთ ტირაცუ აკოფამ.“

წიგნის ბოლოში: „10 საწირავათ მიქანდრიანთ ტერ იოანესი არს.“

ხოლო თავშივე, წიგნის ყდის შიდა გვერდზედ, დაცულია სამი სიტყვა, რომელიც, მგონია, გვიცხადებს ამ წიგნის შემადგენელის გვარსა და სახელს. აი ეს სიტყვებიც: „იგულისმედგინა რიჯერნეანდო ნათუჰა.“ ეს სიტყვები ჯერ ქართულად სწერია და მერე სომხურადაც.

ამას გარდა წიგნის თავსა (ყდის მეორე გვერდზედ) და ბოლოში ხელჩართულად, სომხურის ასო-მთავრულით, გამოყვანილია ბეჭედი და აღმოიკითხვის „მიქანდრიანთ ტერ-იოანე“.

თავშივე სომხურად სწერია, თუ როგორ უნდა შეზავებულ იქმნას რაღაც წამალი.

შიგ წიგნში არშიებსა და სტრიქონებს შორის ქართულადა და ხან-დახან სომხურადაც ჩამატებულია დაკლებული სიტყვები იტალიური და მათი თათრული თარგმანი და აქაიქ ქართულ სომხურ არაბულიც.

ნიმუშად ამ შედარებით ლექსიკონის ავტორის შრომისა, აქვე დავურთავ ორიოდ მაგალითს:

| იტალიური | თათრული | ქართული |
|---|---|---|
| აერეე | ჰავალი | |
| აქუა | სუ | (წყალი) *) |
| აერეო ჩიეს-თა ვისთა | ჰავა ბენს შე-გილ | პირისახის ხილვა |
| ამოროსო | სევგული | |
| აპპროვათო | ქუ | გამოცდილი |
| ბრონძო | თუჯ | (ბრინჯაო) |
| ბუკკალო | ჯიამუშ, სუსე-ლირი. გიომეშ | (კამბეჩი) |
| ქალიგო | დუმან | (ნისლი) |
| ქავალლო | ათ | (ცხენი) |
| ქოლირა | იორლან ორთი | საბნის პირი |
| იდ დიო | თანღრი, ხუდა, ალლაჰ | (ღმერთი) |
| ლიგამე | ბაღ | (ბაღი) |
| ნომინათივო | ისმი ეველ | |
| პელლე | დერი | ტყავი |
| პროვინჩია | | ურუმელი |
| აქჰაია | ვილიათ აქჰაია | |
| თეპიდო | სოუხ | (ცივი) |
| თუ | სენ | (შენ) |
| ვაქქა | ინეგ | (ძროხა) |
| ვენდერე | სათმაქ | (გაყიდვა) |
| ვერდე | იეშილ | (მწვანე) |
| ძელო | ყაირეთ | |
| იდენ | ჯიდდე | (ხიშტი) |

ლექსიკონში სიტყვები მოყვანილია იტალიურ ანბანის რიგზედ და ყოველი ასოს სათაურს აღნიშნულია მისი იტალიური ეკვივალენტებიც. ლექსიკონი იწყება სიტყვიდამ აქაზამია და თავდება სიტყვით ძოლდჟორარია მონადიძო ლუო-ქუქურდ მადენი (გოგირდის მადანი). გვარი რიჯენერაწდო პროფ. ცაგარლის გამოკვლევაებში არ შეგხვედრია.

მ. ჯანაშვილი.

*) ფრჩხილებში დასმულია ის სიტყვები, რომლებიც ლექსიკონში არ არის, მაგრამ კი უდრის იტალიურ-თათრულს.

## მცირე შენიშვნა.

ამა მიმდინარე წელს, მარტის 21-ს, ახალ სენაკში საქველ მოქმედო აზრით ქართული წარმოდგენა გაიმართა, რომლის შემოსავალი ხარჯს გარდა დანიშნული იყო დაბა ძველ-სენაკის მომავალ სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. მას აქეთ, აგერ ხუთი თვეა, მაგრამ არაფერი ანგარიში სჩანს მოთავისაგან, თუ რა შემოსავალ-გასავალი ჰქონია ამ წარმოდგენიდგან. სასურველია, ბ-ნმა მოთავემ გამოაცხადოს „ივერიის“ საშუალებით სრული შემოსავალ-გასავლის ანგარიში. მით უფრო რომ წარმოდგენა საქველმოქმედო იყო და არა კერძო.

ტელეფონი.

1895 წ. 12 ივლისს,
ახალ-სენაკი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

„ნოვ. ვრ.“ აღნიშნავს უკანასკნელს ნომერში, რომ ბათუმში ახალი გაზეთი დაარსდა. გაზეთს მოჰყავს „ჩერნომ. ვესტნ.“-ის პირველ ნომრის მოწინავე წერილიდგან ის ადგილი, რომელიც ჩვენს გაზეთშიაც გვქონდა მოყვანილი, უწონებს მიმართულებას და ბოლოს შემდეგს დარიგებას აძლევს:

„ახალმა პროვინციალურმა გაზეთმა კარგად უნდა დაიმახსოვროს (Твердо зарубить себѣ на носу), რომ შავის ზღვის ნაპირზედ უთუოდ რ უ ს ე ბ ი უნდა დასახლდნენ...

ძალიან საინტერესოა—როგორ მიეგებება ამ დარიგებას გაზეთი, რომელმაც გამოაცხადა, რომ შორს დაიკავებს თავს ეროვნების დევნიდგანა, ხელს აძლევს ყველა მშრომელსა და პატიოსან მუშაკთ პარტიისა და ეროვნების განურჩევლათაო?

—

„ნოვოე ვრემ.“-ს გუშინდელი ნომრის მოწინავე წერილი არჩევს ევროპის გაზეთების აზრს სტამბულოვის მკვლელობის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მთელის ევროპის გაზეთები ძლიერ შეწუხებულნი არიან საზიზღარის მკვლელობით და ბრალსა სდებენ რუსეთს. იტალიის, გერმანიის, ავსტრიისა და ინგლისის გაზეთები ერთხმად ლაღადებენო, ამბობს სუვორინის ორგანო, რომ სტამბულოვის მოკვლა მარტო რუსეთის ინტერესი-

---

ტფილისს, გავიდა დიდის მწუხარებით ჰავლაბრის ხიდზედ და მთიულეთისკენ წავიდა. თან გაჰყვა სოლომონ მსაჯული. მეომრებმა მეფეს არწმუნეს ხვალ გმირული ომი მოხდებაო და აქ გადასწყდება ქართველთა შვილების გმირობის დღეო. მეფე დაამედეს, რომ ოღონდ შენ წადი, შენ არა დაგიშავდეს-რა და ჩვენ ვიცით ბრძოლის საქმეო.

ამ ომის დროს დიდად მხნეობდა ქაიხოსრო კენკია ავალიშვილი.

გათენდა დილა და დაიწყეს ომი. ქართველნი იბრძოდნენ დიდის გმირობით დიდის სისხლის ღვრით, მაგრამ საქმე გასჭირდა. დიდი ძალი ვაჟკაცობა გაწყდა ამ დღეს, აღარავინ დაშთა თითქმის და უმეტეს ახლად მიშველებულნი ქართველთა მხედარნი. ბევრი ქართველი იქმნა ნაჭერ ნაჭერ დაკუწული.

ამ ბრძოლაში დაკუწეს ნაჭერ-ნაჭერ თავადი იონე აბაშიძე, ძე ნიკოლოზ მდივანბეგისა, ახლო ნათესავი მეფე ერეკლესი.

დაკუწეს თავადი გიორგი გურამიშვილი, იგივე ქუმელად სახელდებული. ესე იყო ერთ უპირველეს მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერიც არტილერიისა ხელოვნებისა.

კვალად დაკუწულ იქმნა გაბრიელ მაიორი, აზნაურიშვილი, არტილერიისა უფროსი, კაცი ფრიად მხნე და განსწავლული.

ესენი იყვნენ ბრძოლასა შინა ფრიად გამოცდილნი, ესენი ამოჰმედებდნენ მხნეთა და გულოვან მეომართა გლეხთა და შეაძრწუნესცა სპარსნი და მრავალნი სპარსნი გასწყვიტეს ზარბაზნითა მიერ და ფრიადისა ღვაწლითა ვისცა ძალ ედვათ, მათ ბრძოდეს. ხოლო უკანასკნელ ყოველნი მოზარბაზნენი თვისითა მოსწყდეს ერთობლივ, ზარბაზანთა თვისთა თანა, კვალად მოსწყდეს სხვანიცა ჩინებულთაგანიცა, კაცნი მხნენი და სხვანი მებრძოლნი ეგოდენი მოსწყდეს ქართველთა, რომ ას ორმოცდა-ათი კაცი-ღა დარჩა ერეკლე მეფის დასში და ესენიც მეფის გზას გაუდგნენ, მეფის დასაფარავათ დავით ბატონიშვილს მხრის ჯარი-კი მაინც ბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ბრძოდა საღამოს ჟამამდე; ესენიც დაიკოდეს. ვინც დარჩა, იმათთან ერთად დავითიც განვიდა ტფილისით დასაფარავად.

ტფილისი სპარსთა აიღეს, აღა-მაჰმად-ხანი ტფილისში შემოვიდა, წინ განჯის ხანი მოუძღოდა ჯავათ-ხანი, ზიადოღლად ხმობილი და ქიშმიშოვის სიტყვით ორი სომხის მელიქი. ამათ მეფე ერეკლეს სასტიკად უღალატეს, რადგანაც მათ ჯავრი ჰქონდათ მეფე ერეკლესი მის გამო, რომ მეფეს განჯა და ერევანი ემორჩილებოდა და წელიწადში რვა ათას თუმანს ხარკს იხდიდა. ერეკლე მეფეს სომხების განთავისუფლება იაფათ არ დაუჯდა, განჯის და ერევნის ხანს ჯავათს 32 ათასი ქართველი შეაკლა და რვა ათასი ურემი მიამსხვრია თავის ხარ-კამბეჩით.

ტფილისი მთლად ცარიელი დახვდა. ყეინი გაჰკვირდა ამაზედ, მაგრამ არც ასე დაბრკოლდა, რადგანაც ქართველი ტყვენი მრავალი ჰყვანდა. აღა-მაჰმად ხანმა გასცა ბრძანება თავის ჯარში და ტფილისის სახლები დააძარცვინა. მერე თვით ნახა მეფე ერეკლის სახლი და მთლათ გაძარცვა, შემდეგ ამისა ნახა ქართველთ სამართველოები და თოფხანები და ყველა ესენიააკლებინა, მდივან-ხანა გადააწვევინა მრავალ ალაგას. ამას ყარაბაღელი სომეხნი უჩვენებდნენ ქართველთა საქმეების სასახლეებსა და ვითარებასა. მერე ნახა მეფის აბანო. მერე შევიდა სიონში და დაახოცინა იქ მრავალი ქართველნი და დოსითეოს ნეკრესელი ხმლითა და ჯვარით ხელში ჰალვაბართან მტკვარში გადააგდეს.

სპარსთაგან სულ ოც და-ცამეტი ათასი მეომარი გაწყდა. ქალაქის აოხრების შემდეგ ყეინმა თან წაიღო ქართველთა არტილერიის მაშინები, სხვა-და-სხვა იარაღები, პატიმარ-ჰყო არტილერიის მცოდნე კაცნი, ზარბაზნის მკეთებელნი მსროლელნი, ყველა ესენი სპარსეთში წაიყვანა, იქ გააკეთებინა არტილერიის სახლი, იგი კაცები დაადგინა გამგეთ, გაათათრა, საცხოვრებელი მოუჩინა და თავისი საქმეები განაძლიერა. ჩვენ აქ ბევრ რამეს არ შევეხეთ, ნამეტურ მასზედ თუ აღა-მაჰმად ხანი ტფილისიდგან მცხეთისკენ როგორ გაემართა და მიმოვლო, იქაური სოფლები როგორ აღაოხრა.

ომის გათავების შემდეგ მეფემ ერს ტფილისად მოუწოდა. მოქალაქენი მოვიდნენ, ქალაქმა მოშენება იწყო. სამეფოს ბრძანებით საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ ტფილისში დღეში რვა-ასი ურემი შემოდიოდა და ამათ შემოჰქონდათ სურსათი, სხვა-და-სხვა ნაირი საქონელი, იარაღი და მეფის ბრძანებით ურიგებდნენ უფასოდ ქალაქის მცხოვრებთ. ამ საქმეების გამო მეფესა და სოლომონ მსაჯულს უსიამოვნებაც მოუხდათ, ამათის უსიამოვნების ჩამოგდების მიზეზი სულ ქალაქის ხელხი გახდა. პ. იოსელიანის სიტყვით, ეჩმიაძინს მეფემ სესხად 800 თუმანი გამოსახოვა და ეს ფულიც სომხებს დაურიგა. მეფემ მთელის თავისის სახლეულობის ოქრო-ვერცხლის ფული მოაჭრევინა და ვაჭრებს დაურიგა.

ჩვენ დასასრულ ვკითხოთ ბ. ისტორიკოსს, რომ არ შეიძლება დაასახელოს თუნდ ერთი სომეხი მხედართაგანი, თუ ვინ მოიკლა ამ ბრძოლაში და ან ის, თუ მეფე ერეკლეს რა უნდა ექმნა იმ დროს, როცა ქართველთა მამულიშვილების დასი მთლად სწყდებოდა.

სირცხვილია ჭეშმარიტად და მასთან სამწუხაროც, რომ კაცი ჰბედავს ისეთის ისტორიულ პირის გაკიცხვას, რომელი პირიც მათს მოძმეებს ათასნაირად ეხმარებოდა, მამულებს აძლევდა, თავადობას, აზნაურობას, სპარს ოსმალების ტანჯვა-მონებიდამ იხსნიდა და საქართველოში მოჰყავდა და ასახლებდა, მშვიდობიან ცხოვრებას აძლევდა, მოქალაქობას ანიჭებდა, ვაჭრობას უფართოებდა და ათას სხვას რამეებს აკეთებდა მათთვის, მაგრამ დღეს მათ ყველა ეს დაივიწყეს და პატივით მოპყრობის მაგიერ გმობით იხსენიებენ.

ზ. ჭ.

სათვის იყო სასარგებლოო. ამ აზრის წინააღმდეგს ამბობენ მხოლოდ საფრანგეთის ოფიციალური გაზეთები, რომელთა აზრითაც სტამბულოვის მკვლელობა კერძო შურისძიებას უნდა მიეწეროს. „ნოვ. ვრ.“ ძლიერ გაჯავრებულია ამ მითქმა-მოთქმით.

„ყოველივე ეს საზიზღარი ჭორიაო, აბოლოვებს გაზეთი წერილს, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთში არავინ არ მიაქცევს ყურადღებას ევროპის გაზეთების ბოდვას. იმდენად დარწმუნებულნი ვართ, რომ გადავწყვიტეთ დღეის იქით კრინტი არ დავძრათ იმის შესახებ, თუ რას მიედებ-მოედებიან ჩვენი მტერნი სტამბულოვის მოკვლის მიზეზების გამოსარკვევად. ევროპის გაზეთები იმათ არ ღირან, რომ რუსეთის პრესამ პოლემიკა დაუწყოს ცილის-წამებისა და ჭორის გასამტყუნებლად.

## სტამბულოვის მკვლელობის შესახებ.

—

გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი-“ სწერს: ცხენოსანი ჟანდარმი, რომელიც მოვალე იყო თვალყური ედევნებინა სტამბულოვისათვის, მკვლელობის დროს სადღაც გაჰქრა; ამ გარემოებას ახლა გამომძიებელმაც მიაქცია ყურადღება.

როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, ჩვეულებრივს დროს გარეშე საქმეთა მინისტრი ნაჩევიჩი ევროპის წარმომადგენლებმა არ ინახულეს. „კელნის გაზეთს“ სწერენ სოფიიდგან, რომ მინისტრთან ყოფილა მხოლოდ გერმანიის წარმომადგენელი, რომელსაც ყველა ელჩების მაგიერ გაუკაცხავს ბულგარიის მთავრობა და მართვა-გამგეობა. ამ გარემოებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სატახტო ქალაქის მცხოვრებლებზე.

„აჟანს ბალკანიქ“-ის სიტყვით სტამბულოვის კუბო შემკული იყო 300 გვირგვინით, მათ შორის იყო გვირგვინები ავსტრიის იმპერატორისაგან, რუმინიის მეფისა და ინგლისის დედოფლისაგან.

„რეიტერის სააგენტო“ ასე აღგვიწერს სტამბულოვის დასაფლავებას: მრავალი მეგობარი და პატივისცემელი გარდაცვალებულისა შეგროვდა ორს საათზედ სტამბულოვის სახლში. კუბო, შემკული მრავალის გვირგვინებით, გამოიტანეს სამ საათზედ და გრძელი კორტეჟი დაიძრა სასაფლაოსაკენ. კორტეჟში იყვნენ წარმომადგენელნი: ინგლისისა, გერმანიისა, იტალიისა, საფრანგეთისა, ავსტრიუნგრეთისა, რუმინიისა, ოსმალეთისა, საბერძნეთისა და სერბიისა. იმ ადგილას, სადაც დასჭრეს სტამბულოვი, კორტეჟი შეჩერდა და პეტკოვმა სიტყვა წარმოსთქვა. პეტკოვმა ქება შეასხა ბულგარიის თავისუფლების დამცველს და სამშობლოს მტერებათ აღიარა სტამბულოვის მკვლელნი. ჯერ პეტკოვის სიტყვა დასრულებული არ იყო, მოისმა ყვირილი: „თავს უშველეთ, თავს უშველეთ“! კორტეჟი აირია, ყმაწვილებმა გვირგვინები დაჰყარეს, შეშინებული ხალხი საშინლად შფოთავდა; ყველას ეგონა შეტაკება მოხდება სტამბულოვის მეგობართა და მტერთა შორის. ჟანდარმების ცხენოსანმა რაზმმა მალე ჩამოაგდო მშვიდობიანობა და კორტეჟი ნელა დაიძრა წინ, პროცესიას ხალხი მოსდევდა, წასულიყვნენ, სხვათა შორის, ევროპის ყველა წარმომადგენელნიც გერმანიის, სერბიისა და რუმინიის ელჩების გარდა. არეულობა, როგორც შემდეგ აიხსნა, გამოიწვია ერთმა კაცმა, რომელმაც რევოლვერი ესროლა ეტლს, რომელზედაც ეწყო მრავალი გვირგვინი ქალაქ ტირნოვოდგან გამოგზავნილი. საფლავზედ სიტყვა არ წარმოთქმულა, დასაფლავების შემდეგ ხალხი ნელა დაიშალა.

„ფრანკფურტის გაზეთის“ სიტყვით ქალაქ ვარნის დეპუტაციის წინამძღოლმა კუბოს წინაშე დაიფიცა, რომ იგი შურს უძიებს სტამბულოვის მკვლელთ. წინანდელს ნომრებში ჩვენ გვქონდა მოყვანილი ავსტრიის, გერმანიის და იტალიის გაზეთების აზრი სტამბულოვის მკვლელობის შესახებ. ინგლისის გაზეთებიც იმასვე ამბობენ უფრო გარკვევით. კონსერვატორთა „სტანდარდ“-ი ასე ათავებს ერთ წერილს: „თუ პრინცს ფერდინანდს სურს ცოტათი მაინც პატიოსნების სახელი შეირჩინოს, ახლავ უნდა დაბრუნდეს ბულგარიაში. მან ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან მუხლ მოდრეკით მოსთხოვოს რუსეთს შენდობა და შეწყნარება, ანდა გახდეს ნამდვილ მთავრად თვისის ქვეყნისა“. გაზეთი „ხრონიკლ“ ამბობს: „თუ პრინც ფერდინანდს არ შეუძლია მოუაროს რიგიანად თვისს ქვეშევრდომთ, ევროპა ადვილად მოუძებნის მას მოადგილესაო“.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში სია იმ პირთა, რომელთაც ქუთაის-ინებეს და შემოსწირეს შემლების და-გვარი წვლილი არტისტის ალექსი მესხიშვილის სასარგებლოდ.

სიასთან ერთად გაახლებთ 55 მ. ფულსაც, რომლის გაგზავნას დანიშნულებისამებრ ვსთხოვთ პატივცემულს რედაქციას.

მ. მხეიძისამ 3 მან., მაკ. ღლონტისამ 3 მან., მ. ელიავასამ 3 მან., ნ. საბაკემა 3 მან., გრ. ვოლსკიმ 3 მან., გ. მხეიძემ 3 მან., ს. შახ-ბაზოვმა 3 მან., ალ. დრუვიჩმა 3 მან., ე. მახნაზაროვმა 3 მან., ექვ. ბერძენიშვილმა 2 მან., ბ-ნი ზილბერ მეისტერმა 2 მან., დ. განდელაკმა 2 მან., ნესტ. ელიავამ 1 მან., კიკ. დიდიამ 1 მან., ქსენტე დგებუაძემ 1 მან., გ. მარჯანიშვილმა 1 მან., მელ. ღორთქიფანიძემ 1 მან., იას. საბახტარაშვილმა 1 მან., კოწია თავართქილაძემ 1 მან., ერ. შახ-მელიქოვმა 1 მან., სილ. სურგულაძემ 1 მან., ნ. პ. 1 მან., ბართლ. თოფურიძემ 1 მან., სტეფახელმა 1 მან., სამუელიანმა 1 მან., ნ. ძახიძემ 1 მან., მორიც შალოვიცკიმ 1 მან., გაინრიხმა 1 მან., „საწულმა სომეხმა“ 1 მან., პავლე მჭედლიშვილმა 1 მან., გ. გ. 1 მან., სარდ. მამალაძემ 1 მან., ლომინაძე-ბერძენიშვილმა 1 მან., ან. გრობლევსკიმ 50 კ., ნ. დ. 50 კ. სულ 55 მ.

დავშთები თქვენი პატივის-მცემელი მ. ღლონტისა.

—

უმორჩილესად გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ პირების მიერ შემოწირულება ასკანის საერო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ დაგვიბეჭდოთ; შემომწირველთ დიდს მადლობას ვუცხადებთ [illegible]

ლებისათვის.

ელისაბედ აბრამიშვილისამ—სამი მანეთი და ალგებრა ფიფიანისა, ეგნატე ხელაძემ ოც-და-რვა ცალი ქართული წიგნი, მ. ფილიპე შარაშიძემ სამი ცალი ქართული წიგნი, ერასტო ჭავჭანიძემ ერთი მანეთი, ილიკო დავითის ძე მამულაშვილმა ერთი მანეთი და ნესტორ ცქვიტინაძემ ორი მანეთი.

გამგე ასკანის წიგნთ-საცავისა სოლომონ მჭედლიშვილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ივლისი.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 21—28 ეკენისთვეს (ახ. სტ.) დრეზდენში მოხდება ლიტერატორთა და არტისტებთა საერთაშორისო ასსოციაციის მეჩვიდმეტე კონგრესი.

გაზეთი „სვეტ“ აცხადებს, რომ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს მომავალს სამოსწავლო წელს ხარკოვის, პოლტავის, კურსკისა და ვორონეჟის გუბერნიებში სავალდებულოდ გახადოს პირველდაწყებითი სწავლა.

**გრიუნბერგი,** 13 ივლისი. ლიგნიციდან მომავალი სახალხო მატარებელი რაუტენის სადგურთან რელსებს გადასცილდა და ვოკზალის შენობას დაეტაკა. მაშინისტი მოკლულ იქმნა; მრავალი პასაჟირი დაჭრილია; ზოგი მათგანი კიდევაც მოკვდა.


# განცხადებანი

## იატაკის ლაქი

ფუფერფული და ყვითელი

ამხანაგობის ფაბრიკისა.

**რ. კელერისა და ამხ.** მოსკოვში.

უბრალო იატაკების უცბად მოფერვისათვის, როგორც შეღებულისა, ისე შეუღებავებისა.

ეს ლაქი ხმება თვით წასმის დროსავე.

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

(2—25—1)

მე შევისყიდე დ. სამტრედიაში არსებული წიგნის მაღაზია ბ-ნ პეტრე პავლეს ძე გელეიშვილისაგან და მაქვს ამისი ნებართვაც, ვისგანაც ჯერ არს. მაღაზიაში ისყიდება ყოველ-გვარი ქართული და რუსული სასწავლო წიგნები სასოფლო სკოლებისა და აგრეთვე საკითხავი წიგნებიც ქართულს ენაზედ. ისყიდება აგრეთვე ყველა საკანცელარიო ნივთები. წიგნის მაღაზია იმყოფება [illegible] სიხარულიძის შენობაში.

პატრონი სამტრედიის წიგნის მაღაზიისა ვარლამ თითისძე კალაძე.

(4—1)

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოსსიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის [illegible] დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, [illegible] ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში

(100—721—1)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება

## „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევნი ბილეთებს მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზე: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემებზედ.

50—6—39


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Іюля 1895 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგებისა — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.